ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 06.03.42

"10" სექტემბერი 2014 წ.

შპს „ჰერმესის“ დირექტორის ცვლილების შესახებ

შპს „ჰერმესის“ დირექტორის ვალერიან სხიერელის 08.09.2014 წლის №1007 (რეგისტრაციის №QN1249204, 08.09.2014წ.) და მოქალაქე მიხეილ ძაგანიას 08.09.2014 წლის №12/14257689-1 (რეგისტრაციის №12/7368-8, 09.09.2014წ.) განცხადებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 166-ე მუხლის მე-3 პუნქტის, "მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 მუხლის, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება N1-1-ით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, "ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს "ჰერმესის“ მიმართ ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 ოქტომბრის №29.17.1329 დადგენილების პირველი პუნქტის დანართით დამტკიცებული შპს „ჰერმესის“ წესდების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს

1. გათავისუფლდეს ვალერიან სხიერელი (პ/ნ 01006008410) შპს „ჰერმესის“ (ს/კ 202888349) დირექტორის თანამდებობიდან.
2. დაინიშნოს მიხეილ ძაგანია (პ/ნ 29001000194) შპს „ჰერმესის“ (ს/კ 202888349) დირექტორის თანამდებობაზე.
3. დაევალოს შპს „ჰერმესის“ (ს/კ 202888349) დირექტორს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება ამ განკარგულების შესაბამისად, მათ შორის: შპს „ჰერმესის“ (ს/კ 202888349) ელექტრონული ფოსტის მისამართის განსაზღვრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურში.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ალექსანდრე მარგიშვილს.

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

საქმის წარმოების მასალებში №2

შპს "ჰერმესის" კანცელარია
№ 3521
"15" 09 2014 წ. შემოვიდა